

დანართი 1: თავფურცელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“

კლეოპატრა ქარუმაშვილი

სახელმწიფო პროგრამები ახალგაზრდა ლაზების, ფერეიდნელების,  
გურჯებისა ( ჩვენებურების) და ინგილოების ქართული  
თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის

ნაშრომი წარდგენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ნანა მაჭარაშვილი  
ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი

თბილისი 2019

## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| დანართი 1: თავფურცელი.....   | 1  |
| ანოტაცია .....   | 3  |
| ისტორიული მიმოხილვა.....   | 7  |
| შესავალი .....   | 1  |
| კვლევის მეთოდოლოგია, საკვლევ კითხვები, ჰიპოთეზები და<br>თეორიები.....        | 2  |
| ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის საერთაშორისო გამოცდილება...                    | 19 |
| ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების ფსიქოლოგიური საჭიროება .....                 | 23 |
| სახელმწიფო პროგრამები ქართული თვითმყოფადობის<br>შენარჩუნებისთვის .....       | 25 |
| ახალგაზრდა ფერეიდნელების, ლაზების, გურჯებისა და ინგილოების<br>კომენტარი..... | 32 |
| დასკვნა .....  | 40 |
| ბიბლიოგრაფია.....  | 42 |
| დანართი 2: სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.....                          | 44 |

## ანოტაცია

ნაშრომის დასახელება: სახელმწიფო პროგრამები ახალგაზრდა ლაზების, ფერეიდნელების, გურჯებისა ( ჩვენებურების) და ინგილოების ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის

საუკუნების განმავლობაში, ქართული ეთნიკური ჯგუფები მთელი მონდომებით ცდილობენ ქართული ენისა და ტრადიციების შენარჩუნებას. წინა საუკუნეებში ეს გასანკუთრებით რთული იყო, უწევდათ საკუთარი ადათ-წესებისთვის ჩუმად მიეყოლა, აღმსარებლობის დამალვა, ქართული ენა კი ხელნაწერების სახით გადაეცემოდათ ახალგაზრდებს. ის ეთნიკური ჯგუფები რომლებზეც ამ ნაშრომში ვისაუბრებ, საკუთარი სიცოცხლისა და კეთილდღეობის საფრთხის ქვეშ დაყენების ფასად ახერხებდნენ ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

ახალგაზრდებშიც არ გამქრალა ის ქართული სულისკვეთება, რაც წინაპრებმა შემოუნახეს. ისინი საქართველოს მიიჩნევენ საკუთარ მეორე სამშობლოდ და განიცდიან, რომ უფრო უკეთესად არ ხდება მათ ინტეგრაცია საქართველოსთან და სოციალიზაცია ქართველ ხალხთან.

ამ ნაშრომით მინდა უკეთესად ავსახო ახალგაზრდა ლაზების, ფერეიდნელების, გურჯებისა (ჩვენებურების) და ინგილოების საქართველოსთან ურთიერთობისა და ქართული სულისკვეთების დიდი სურვილი. ასევე, მსურს ნაწილობრივ შევაფასო საზოგადოების განწყობა, ქართულ ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში.

მთავარი მიზანი კი ისაა, რომ მოვიძიო ინფორმაცია, თუ რა კეთდება საქართველოდან იმისთვის, რომ არ დაიკარგოს ის საგანძური, რაც გვაქვს ჩვენი ეთნიკური ჯგუფების სახით. იმისთვის, რომ ნელ-ნელა მოხდეს აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდების უფრო აქტიური ინტეგრაცია საქართველოსთან და სურვილის შემთხვევაში, უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება.

For centuries Georgian ethnic groups were desperately trying to maintain the Georgian language and traditions. In earlier centuries it was harder mission, people had to follow their traditions and religion in secret, Georgian language was forwarded to new generations with manuscripts. The

ethnic groups that I'm going to speak of in my work they were risking their lives and putting into danger their normal life to keep their Georgian identity.

Georgian spirit which endured and was handed to new generation has not disappeared. They consider Georgia as their second homeland and they suffer from the fact that they are not integrated with Georgia and are not socialized with Georgian people.

With this work of mine I want to show young Laz's, Fereiden's, Gurj's and Ingilo's Georgian spirit and their desire of having strong relationship with Georgia. Also would like to evaluate society's general mood towards Georgian ethnic groups.

The main goal is to research, what Governmental programs are initiated to maintain the treasure we have with the face of Georgian ethnic groups.

## შესავალი

იმულებით გადასახლებული ეთნიკურად ქართველები, გაანგრძობენ ქართული ენისა და ტრადიციების შენარჩუნებას რაშიც ჩვენი (სახელმწიფოსა და საზოგადოების) დახმარება სჭირდებათ. იმის გარდა, რომ ჩვენ უბრალოდ ვალდებულნი ვართ კომუნიკაცია დავამყაროთ ჩვენს ეთნიკურ ჯგუფებთან, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიასპორის კუთხითაც გვჭირდება მათთან კომუნიკაცია, რადგან თურქეთის, ირანისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები, აუცილებლად დაგვეხმარებიან საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებაში.

საქართველო ხშირად ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს, იგივე მიდგომა შეგვიძლია მოვთხოვოთ იმ ქვეყნებს, სადაც ჩვენი ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ. ჩემს ნაშრომში განხილული იქნება ის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობენ ზემოთ ხსენებული ეთნიკური ჯგუფების ახალგაზრდა წარმომადგენლების საქართველოსთან ინტეგრაციას.

აღნიშნული ნაშრომის შესრულების მოტივაცია ემყარება პირად ურთიერთობებს ჩვენს ეთნიკურ ჯგუფებთან. წლების განმავლობაში, აქტიურად ვხვდებოდი ეთნიკურ ქართველებს, ვისმენდი მათ სურვილებს, რომ ჰქონოდათ უფრო მეტი საშუალება იმისთვის, რომ შეენარჩუნებინათ ენა და ტრადიციები. მათი მხრიდან არის სრული მზაობა იმისთვის, რომ უფრო მეტად შეიყვარონ საქართველო, ისწავლონ, შეინარჩუნონ ადათ-წესები და უფრო მეტად ინტეგრირდნენ საქართველოსთან.

ჩემი ნაშრომის მიზანია, გამოვიკვლიო თუ რა შრომა არის გაწეული სახელმწიფო უწყებებისგან იმისთვის, რომ ქართული ეთნიკური ჯგუფების საუკუნოვანი მონდომება, ბრძოლა და სურვილი იმისა, რომ იყვნენ საქართველოს ნაწილი, დაუფასდეთ და ღია საზღვრების გათვალისწინებით მაინც შევძლოთ მათთან უფრო აქტიური ურთიერთობა.

## კვლევის მეთოდოლოგია, საკვლევო კითხვები, ჰიპოთეზები და თეორიები

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნება მიზნობრივი შერჩევის ტიპი. ინტერვიუ ჩატარდება შემდეგ ჯგუფებთან: აღნიშნული სფეროში მომსახურების მიმწოდებელი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან და იმ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან, რომლებზეც კეთდება კვლევა.

კვლევის განმავლობაში სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 30 რესპონდენტთან, რომელთა შერჩევაც მოხდა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით.

კვლევის პროცესში, თემის ინდივიდუალურობიდან გამომდინარე, საჭირო გახდა სიღრმისეული ინტერვიუ. აღნიშნულმა საშუალება მოგვცა მიმელო დეტალური და სიღრმისეული ინფორმაცია, როგორც სახელმწიფო უწყებების მხრიდან, ასევე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდებისგან.

რამდენიმე შემთხვევაში მოხდა ფოკუს-ჯგუფებთან ურთიერთობა. ასევე რიგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნა სატელეფონო ინტერვიუ. თითოეულ რესპოდენტთან მუშაობა მიმდინარეობდა 20 წუთის განმავლობაში, ფოკუს ჯგუფის შემთხვევაში კი 1,5 საათი.

ასევე, ნაშრომის ფარგლებში საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან, განათლების სამინისტროდან და სხვა უწყებებიდან. მოხდა მოწოდებული მცირე ინფორმაციის დამუშავება და რესპოდენტების ნაწილი გამოიკითხა სწორედ ამ ინფორმაციის შემდგომ, რამაც გამოავლინა საქართველოს პროგრამებთან ეთნიკური ჯგუფების წვდომა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა ე.წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდის გამოყენებით. მონაწილეთა შერჩევისათვის წინასწარ გამოიყო სოციო-დემოგრაფიული კრიტერიუმები, რის გამოც რამდენიმე სატელეფონო ინტერვიუს შემთხვევაში, არ მოგვეცა ჩანაწერის გაკეთების უფლება (ირანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებთან საუბრის

დროს), რამაც თავისთავად გაართულა მოწოდებული ინფორმაციის სრული მოცულობით ასახვა ნაშრომში.

### **კვლევის ჰიპოთეზები**

- ეთნიკურ ქართველ ახალგაზრდებს უჭირთ ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნება და საჭირობენ საქართველოსგან დახმარებას.
- სხვა ქვეყანაში მცხოვრები ახალგაზრდა ეთნიკურად ქართველები ვერ ახერხებენ საკუთარი ისტორიული სამშობლოს პოლიტიკურ-სოციალურ პროცესებში ჩართვას, ენის ბარიერის, სახელმწიფო პროგრამების სიმცირისა და საქართველოს მოქალაქეების მხრიდან გამჯდავნებული ნეიტრალური დამოკიდებულების გამო.
- ის საჯარო სიკეთეები რითიც სარგებლობენ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები, სრულად განსხვავდება ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული მომსახურებებისგან (რაც რა თქმა უნდა ბუნებრივია, თუმცა ინტეგრაციის ფარგლებში, სხვა ქვეყანის მოქალაქე ეთნიკურად ქართველებისთვისაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი სააგანმანათლებლო და სამედიცინო სფეროში არსებული მომსახურებები).
- სხვა ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები ხშირად განიცდიან იმ ქვეყნებისგან რელიგიურ და კულტურულ ზეწოლას, სადაც ამჟამად ცხოვრობენ და ქართული მხარე ნაკლებად ახერხებს მათი თავისუფლების დაცვას.

### **საკვლევი კითხვები**

- რა სახელმწიფო პროგრამები არსებობს, ლაზების, გურჯების (ჩვენებურების), ქართველი ფერეიდნელებისა და ინგილოების ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის ?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნება ?
- რა სჭირდებათ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ ქართული თვითმყოფადობა ?

### **ტერმინებისა და ცნებების განმარტება**

- ❖ ლაზი (ჭანეთი) - ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ისტორიული ლაზეთის მკვიდრნი. ამჟამად ძირითადი ნაწილი ცხოვრობს თურქეთის ტერიტორიაზე.
- ❖ ფერეიდნელი - ირანის ფერეიდანის მხარეში მცხოვრები ეთნიკური ქართველები. რომლებიც გადასახლებამდე ცხოვრობდნენ ისტორიული კახეთისა და ჰერეთის ტერიტორიებზე.
- ❖ ინგილოები (ჰერები) - ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფი. ცხოვრობდნენ ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე. ეს მხარე და ეთნიკური ჯგუფი ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრებშია.
- ❖ გურჯები (ჩვენებურები) - ქართული ეთნიკური ჯგუფი. ცხოვრობდნენ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე. ამჟამად ტერიტორია არის თურქეთის საზღვრებში მოქცეული.
  - ეროვნება - ერის, ხალხის გამაერთიანებელი სახელი.
  - ეთნიკურობა - არის ადამიანთა პოპულაცია, რომლის წევრები ერთმანეთთან აიგივებენ თავის საერთო წარმომავლობის ან წინაპრების საერთო კულტურის, ქცევების, ენის ან რელიგიის საფუძველზე.
  - ნაციონალიზმი - იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც ერი არის ადამიანის ფუნდამენტური ნაწილი.

### **თეორიული ჩარჩო**

**ნაციონალიზმი:** დღეს, საკუთარ იდენტობაში და საცხოვრებელ გარემოში ორიენტირება იმაზე რთულია, ვიდრე ეს რამდენიმე ათეული წლის წინ იყო. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მუდმივად ხდება ახალი ინფორმაციის მიღება და ასევე, გეოგრაფიული საზღვრების მარტივი ცვლილება. ცხოვრება მიმდინარეობს უფრო მრავალფეროვანი და ერთმანეთისგან საწინააღმდეგო კულტურული ელემენტების გარემოცვაში. რაც უფრო მეტი დრო გავა მით უფრო მეტი ძალისხმევა იქნება საჭირო იდენტობის შენარჩუნებისთვის და ეთნიკური ადგილის პოვნისთვის (Linger, 2007).

იმის განცდა რომ ადამიანი რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება, პიროვნების ჯანსაღად და მრავალფეროვნად ფუნქციონირებაში დადებითი და აქტიური როლის თამაში შეუძლია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის მიუხედავად ეთნიკური იდენტობა ასწლეულების წინ გამოთქმულ ვარაუდებს ეფუძნება. (Eller, 2009)

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მასობრივად დაიწყო დიდი იმპერიების ნგრევა და ბევრი კოლონიების განთავისუფლება. რის შედეგაც გამოჩნდა ბევრი ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.

მიმდინარე პროცესების შემდეგ რამდენიმე ეთნოსის ნაწილი სხვადასხვა უცხო სახელმწიფოში აღმოჩნდა. ევრაზიის კონტინენტზე მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ეთნიკურმა უმცირესობებმა დაიწყეს გაძლიერება და თავისუფლების ძიების პროცესი (ბასკები, კატალონიელები, კოსოვოელები, ალბანელები, ჩეჩნები, ხორვატები, ბოსნიელები, მაკედონელები და ა.შ). ბუნებრივია, რომ უცხო სახელმწიფოების შიგნით მოულოდნელად აღმოჩენილ განსხვავებული რელიგიისა და ეთნიკური იდენტობის მქონე ჯგუფებს შორის დამაბულობა განვითარდა.

სახმრეთ კავკასია, ჩრდილოეთ კავკასია, ახლო აღმოსავლეთი, მცირე აზია , ბალკანეთის ნახევარკუნძული - ეს ის ადგილებია სადაც მცირე ან თუნდაც მასშტაბურ კონფლიქტს ვხვდებით.

**ეთნიკური** კონფლიქტების ბუნება და შინაარსი შესაძლოა განსხვავდებოდეს. ზოგან შესაძლოა გაჩაღდეს ომი ან მხოლოდ პოლიტიკურ დამაბულობას ჩაეყაროს საფუძველი. თანამედროვე სოციალური მეცინერებების ერთ-ერთ ყველაზე გადაუჭრელ პრობლემად რჩება განსხვავებული სოციო-პოლიტიკური ჯგუფების თანაფუნქციონირების ასპექტები. ეს გამოწვევა განსაკუთრებით ეთნოსებს ეხება.

ეთნიკური იდენტობის პოვნა ან შენარჩუნება ადამიანს ეხმარება თანამედროვე დროსა და რეალობაში საკუთარი ადგილის პოვნაში (Стефаненко, 2009).

ეთნიკური იდენტობა ადამიანს ეხმარება განსაზღვროს საკუთარი პოზიცია მსგავსი თუ განსხვავებული ადამიანების გარემოში (Butler, 2004). ადამიანის ეთნიკური მიჯაჭვულობა ბიძგს აძლევს რაიმე უფრო დიდისა და მასშტაბურის ცხოვრებისეულ ციკლში ჩართვაში, რაც მუდმივობის განცდას უტოვებს. ეთნიკური იდენტობის თავდაჯერებული ხარისხის მიღწევა შესაძლოა გახდეს პოზიტიური ემოციების გამომწვევი წყარო (Wetherell, 2009).

ჩემს კვლევას საფუძვლად უდევს ვარაუდი და შემდგომ პირადი დაკვირვება, რომ ეთნიკურ ქართველებს ახასიათებთ დიდი სურვილი და სწრაფვა იმისა, რომ გამოხატონ საკუთარი ქართული ისტორიული იდენტობა.

დღევანდელ სამყაროში ეთნიკური იდენტობის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ცხოვრების ტემპი არის ძალიან მაღალი, რაც ზრდის ფსიქოლოგიურ არასტაბილურობას და წარმოაჩენს ეგზისტენციალურ კითხვებსა და პრობლემებს (Fishman, 1980).

## ისტორიული მიმოხილვა

### გურჯები (ჩვენებურები)

გურჯები არიან ეთნიკურად ქართველები, რომლებიც ცხოვრობენ ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და თურქეთის ტერიტორიებზე. ტაო-კლარჯეთი არის ძველი მესხეთის ნაწილი, სადაც ძალიან ბევრი ქართული ძეგლი არის შემორჩენილი: ოშკი, ხახული, იშხანი, ოთხთა, პარხალი, ტბეთი, ბანა, დოლისყანა, ხანძთა და სხვა.

ტაო-კლარჯეთს ტერიტორიაზე არის ბევრი სხვა ძეგლი, ხიდი თუ ციხე-სიმაგრე, რომლის დიდი ნაწილი თამარ მეფის სახელს უკავშირდება.

მესხეთი საკუთარი კულტურითა და განათლებით ახლოს იყო ძველი კულტურის ქვეყნებთან: პალესტინასთან, ბიზანტიასთან, კაბადოკიასთან, რომთან და ა.შ. ამიტომაც, მესხეთში, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, აღნიშნული ქვეყნის სიახლეები უფრო მალე ვრცელდებოდა. ასევე, უნდა ავღნიშნო, რომ სწორედ მესხეთიდან დაიწყო საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება.

მესხეთმა გაზარდა საქართველოს მნიშვნელოვანი მოღვაწეები: დავით და აშოტ კურაპალატები, შოთა რუსთაველი, წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. ასევე, ტაო-კლარჯეთში მოღვაწეობდა წმინდა მამა გრიგოლ ხანძთელი. ამ კუთხემ დიდი როლი შეასრულა საქართველოს გამთლიანებაში და ძალიან ბევრი ბრძოლა გადაიტანა.

მესხეთი საქართველოს განაპირა კუთხე იყო, ამიტომაც მტერი ხშირ შემთხვევაში, პირველად სწორედ მესხეთს ესხმოდა თავს. მესხები განსაკუთრებული პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ, ხშირ შემთხვევაში, გაერთიანებული საქართველოს ლაშქარს მესხები მიუძღვებოდნენ ხოლმე და დარტყმასაც პირველები იღებდნენ.

სწორედ ამ ისტორიის, ტრადიციებისა და პატრიოტიზმის დამსახურებაა ის, რომ ჩვენებურები დღემდე ცდილობენ ქართული ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას, მათ კარგად იციან ისტორია და მათი წინაპრების როლი საქართველოს გამთლიანებასა თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში.

XVI საუკუნეში, ოსმალებმა მესხეთი დაიპყრეს, მესხების უმრავლესობა იძულებული გახდა მიეღო მაჰმადიანობა. რასაც მოჰყვა თურქული ენის სწრაფად და საფუძვლიანად გავრცელება-განმტკიცება მესხეთში. საუკუნეების განმავლობაში, მესხების დიდი ნაწილი გათურქდა. ბევრ სოფელში კი დაიკარგა ქართული ენა, კულტურა და ტრადიცია. თუმცა, მესხების გარკვეული ნაწილი ინარჩუნებს ენასა და ქართულ ეთნოსს.

ჩვენებურების დიდ ნაწილს არ დაუკარგავს ქართველობის შეგრძნება და მრავალი საუკუნის მანძილზე, საკუთარი ძალებით ცდილობდნენ ენისა და კულტურის შენარჩუნებას. გურჯები, ცდილობენ ძველი ადათ-წესებისა და ტრადიციების დაცვას. მათ ამ ყველაფერში ეხმარებათ ერთი ტრადიცია, რომელიც წელიწადში ერთ დღის დათმობას გულისხმობს. ჩვენებურები წელიწადში ერთხელ იკრიბებიან, აწყობენ სახალხო დღესასწაულებს და ერთმანეთს ქართულ სიმღერაში, ცეკვაში, ჭიდაობასა და ლექსების თქმაში ეჯიბრებიან. ასეთი დღესასწაულის ტრადიცია, ყველაზე მეტად ფეხგადგმულია ართთვინში.

ჩვენებურები ზოგჯერ საკუთარი უსაფრთხოების ფასადაც კი ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ საქართველოს სიყვარული, სურვილი არც დღევანდელ დღეს იცვლება. ისინი საქართველოს საკუთარ ისტორიულ და მეორე სამშობლოდ მიიჩნევენ და ამ განცდების შენარჩუნებაში ჩვენი დახმარება სჭირდებათ (სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევითი ცენტრი, 2018).

### **ლაზები (ჭანები)**

ლაზები ცხოვრობდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ისინი საუბრობდნენ ლაზურ ენაზე (ლაზური ენა საკუთარი სტრუქტურითა და სიტყვებით ჰგავს მეგრულს). ლაზური ენა, სვანურთან და მეგრულთან ერთად, ქართველურ ენათა ჯგუფში შედის. დღეს ლაზების უმეტესი ნაწილი, თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს. ლაზებიც მცირე ნაწილი კი

საქართველოში, ძირითადად სოფელ სარფში. ლაზები საქართველოს ისტორიაში, დიდი ასობით არიან მოხსენიებულნი, რადგან ლაზიკის სამეფო საკუთარი სიძლიერით გამოირჩეოდა. ასევე, ცნობილი მითი არგონავტების შესახებ, სწორედ ლაზიკას უკავშირდება.

საქართველოს პირველი გაერთიანება, ფარნავაზის დროს ეგრისის ერის თავის ქუჯის მეთაურობით მოხდა. ლაზები სახელგანთქმულნი იყვნენ ფილოსოფიის სიყვარულით, განსწავლულობითა და მრავალფეროვანი აზროვნებით. ლაზებმა დიდი როლი ითამაშეს თამარის პერიოდის საქართველოში. თამარ მეფის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში, მმართველი ადგილები ლაზებს ეკავათ.

XV-XVI საუკუნეებში ოსმალებმა ლაზეთი დაიპყრეს, რის მერეც დაიწყო ლაზების გამუსულმანება და გათურქება. აღნიშნულ პროცესებს გადაურჩნენ საქართველოსთან ახლოს მცხოვრები ლაზები.

ლაზეთში დღემდეა შემორჩენილი ისტორიული ნაგებობები, რომლის შენარჩუნებისთვის ლაზებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. ლაზები გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით, ისინი დღემდე ითვლებიან საუკეთესო მეზღვაურებად და მშენებლებად თურქეთში. ლაზების მიერ დასავლეთ საქართველოში აშენებული სახლები დღემდეა შემორჩენილი.

ისინი თურქეთში აქტიურ ცხოვრებას ეწევიან. მრავალი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, სპორტსმენი და კიდევ მრავალი პროფესიის წარმატებული ადამიანი, სწორედ ლაზია. მათ ასევე აქვთ ფინანსური სახსრები იმისა, რომ ლაზური ენა და ქართული ტრადიციები შეუნარჩუნონ მომავალ თაობას, აფინანსებენ საკვირაო სკოლებს და ხშირად საქართველოში საგანმანათლებლო მიზნით მოგზაურობასაც (სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევითი ცენტრი, 2018).

### **ფერეიდნელი ქართველები**

XVII საუკუნეში, შაჰ-აბასსმა 130 000-მდე ქართველი, რომლის ძირითადი ნაწილი კახეთიდან და ჰერეთიდან იყო, ირანის პროვინციებში გადაასახლა. მოგვიანებით, ფრანგი

მოგზაურის - შარდენის თქმით, საქართველოს ოთხჯერ დალაშქვრის გათვალისწინებით, 400 000 ქართველი ტყვედ წაუყვანია. ტყვეების ნაწილი გზაშივე იხოცებოდა, ნაწილს დაუმორჩილებლობის გამო კლავდნენ, გადარჩენილები კი უკიდურესს პროვინციებში დაასახლეს.

საუკუნეების განმავლობაში, ქართველები ადგილობრივ მოსახლეობას გაერივნენ, მიიღეს ირანის კულტურა და ტრადიციები, რითიც საგრძნობლად შეიმსუბუქეს ყოფა. ქართული ეთნოსოს შენარჩუნება მხოლოდ ფერეიდანში მცხოვრებმა ქართველებმა შეძლეს.

ქართველების გადასახლება შაჰ-აბასის პოლიტიკური გათვლა იყო - გადასახლებული ქართველების მიწაზე მაჰმადიანურ-თურქმანული ტომები ჩამოასახლა და ამით ირანის სახელმწიფოს განაპირა ზოლის დაცვა უზრუნველყო, მეორე მხრივ, მომთაბარე ტომებისგან ირანელების დაცვა იყო მიზეზი, რაც ირანში ჩასახლებულმა ქართველებმა პირნათლად, თუმცა საკუთარი ნების გარეშე შეასრულეს.

ქართველები ფერეიდანის თოთხმეტ სოფელში ცხოვრობენ. მათი ასერთო რიცხვი კი 12 000-მდეა. სოფლების სადაც ცხოვრობენ: ახორებალა (ზემო მარტყოფი), ახლანდელი ფერეიდუნშაჰრი, სიბაქი (ვაშლოვანი), ჩოდრეთი (ჩულურეთი), აფუზი (რუისპირი) და სხვა.

ფერეიდანში მცხოვრები ქართველების გარკვეულ ნაწილს დღემდე აქვს ქართული გვარი, იმ შემთხვევაში კი თუ პასპორტში ირანული გვარი უწერია, მაინც არ ივიწყებენ ქართულ გვარებს და ოფიციალური დოკუმენტების გარდა, ისტორიული გვარით მოიხსენიებენ საკუთარ თავებს. ფერეიდანში მცხოვრები ქართველების გვარები: ასლანიშვილი, ასპანაშვილი, ბათუაშვილი, გუგუნაშვილი, იოსელიანი, ხუციშვილი და სხვა ...

ფერეიდანი ძალიან უნაყოფო და ხრიკ მიწაზე მდებარეობს, რაც ასევე აღნიშნა ინგლისელმა მოგზაურმა, რომელმაც ირანში 1840 წელს იმოგზაურა. ჰენრილ აიარდსის თქმით, „ქართველებით დასახლებული მიწები გამოირჩევა სილამაზითა და მოწესრიგებულობით, ასევე ნაყოფიერებითაც, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართველები ძალიან გამრჯეები არიან“.

ფერეიდნელები არიან ქერის ხორბლისა და პარკოსანი მცენარეების მოყვანით დაკავებულნი. ასევე ეწევიან მესაქონლეობას. ფერეიდნელებს აქვთ შიდა მრეწველობაც, ქსოვენ ფარდაგებსა და სხვადასხვა ნივთებს. მათ ნამუშევრებში ხშირია ქართული ორნამენტები და ჩაქსოვილი პატარ-პატარა ქართული „საიდუმლოებები“.

ამ ნაშრომში განხილული ქართველთა ჯგუფებიდან, ყველაზე მეტად ფერეიდნელებმა მოახერხეს ქართული ენისა და ტრადიციების შენარჩუნება. მათ ეხმარებოდათ ის ფაქტიც, რომ ცხოვრობდნენ შეკრულად. ფერეიდნელი ქართველები ასევე ცდილობენ მართლმადიდებლობის შენარჩუნებასაც, რისი მაგალითებიც უხვად გვხვდება მათ ტრადიციებში. ფერეიდანში საუბრობენ ოთხი საუკუნის წინანდელი ქართულით, რომელსაც ინარჩუნებენ ხელნაწერებისა და დიდი ძალისხმევის სანაცვლოდ. (ონიკაშვილი, ფერეიდანი, 2004)

## **ინგილოები**

საინგილო კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში მდებარეობს. ამჟამად აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული. ინგილოები არიან ქართველები, როგორც კახელები, იმერლები, მეგრელები და სხვები... საინგილო იყო ძველი ჰერეთის შემადგენელი ნაწილი. ოსმალეთისა და სპარსელების მუდმივმა თავდასხმებმა, ერთ დროს უძლიერესი მხარე ძალიან დაასუსტა, რაც არც ლეკებს დარჩათ შეუმჩნევლად და აქტიურად დაიწყეს ჩასახლება. ლეკების ჩასახლების პარარელურად, ხდებოდა ინგილოების დატყვევება და მათი იძულებით გამაჰმადიანება.

ზემოთ ხსენებულმა ქმედებებმა, საინგილოსთვის მძიმე შედეგი გამოიღო და დროთა განმავლობაში კახეთის სამეფოს მოსწყვიტეს საინგილო. კახეთის მეფეებმა ბევრჯერ სცადეს გაენთავისუფლებინათ აღმოსავლეთ კახეთის ნაწილი, თუმცა ამ საკითხში წარმატებას ვერ მიაღწიეს.

1803 წელს საინგილო შევიდა რუსეთის შემადგენლობაში და მოგვიანებით მას ზაქართლის ოლქი ეწოდა. საინგილო დროებით დაუბრუნდა საქართველოს შემადგენლობას,

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, აღნიშნულმა 1918 წლიდან 1921 წლამდე გასტანა.

1920 წლის 7 მაისს კი დაიდო ხელშეკრულება, საქართველო-რუსეთი შეთანხმდნენ და რუსეთმა ზაქათლის ოლქი საქართველოს ტერიტორიად აღიარა. თუმცა საინგილოს საქართველოსთვის დაბრუნება დიდხანს არ გაგრძელდა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართველმა ბოლშევიკებმა საინგილო კვლავ გადასცეს აზერბაიჯანს.

საქართველომ ბოლშევიკების გადაწყვეტილებით ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა. ინგილოები დღემდე ცდილობენ და ქართველობენ, თუმცა საინგილოში მეტად მძიმე მდგომარეობაა ქართული ეთნიკურობის შენარჩუნების კუთხით. ახალი თაობის დიდმა ნაწილმა აღარ იცის ქართული, არის ცოტა ქართული საკვირაო სკოლა და არც აზერბაიჯანი აძლევს ბევრის უფლებას საქართველოს, იმისთვის, რომ მოხდეს ინგილოებთან უფრო შედეგიანი კომუნიკაცია (ჯაფარიძე, 1998).

## ლიტერატურული მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომით წარმოდგენილ კვლევაში ძირითადი დაშვებები და შეფასებები ოფიციალური წყაროების გარდა ემყარება სამეცნიერო კვლევებს, სტატიებს, სატელევიზიო დოკუმენტურ გადაცემებს, რომელშიც განხილულია დიასპორის შესაძლებლობები, ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების გზები, აღნიშნულ ჯგუფებთან კომუნიკაციის საჭიროებები რეგიონული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

კვლევის მიზანია, ნაშრომმა დაამტკიცოს ან უარყოს ქართულ ეთნიკურ ჯგუფებში ქართული ნაციონალიზმის შენარჩუნების უპირატესობები. და გამოიკვლიოს თუ რა როლს თამაშობს ქართული მხარე, ქართული ეთნიკური ჯგუფების ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. ნაციონალიზმში კი იგულისხმება შემდეგი: ნაციონალიზმი წარმოადგენს როგორც ხალხთა ხანგრძლივი ისტორიული განვითარების გამოხატულებას, ისე უფრო ახალ, თანამედროვე პასუხს სოციალურ ცვლილებებზე.

„ახლო აღმოსავლეთ და საქართველო“ ეს ნაშრომი გვარწმუნებს საქართველოს სიახლოვეს აღმოსავლეთთან და ასევე იმაში, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღმოსავლეთთან ურთიერთობა. საუბარია ჩვენი და სპარსელების, თურქებისა და სხვა კავკასიური ჯგუფების მსგავსებებზე, თუნდაც ლინგვისტური კუთხით. ამ ნაშრომიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული თემები, რომლებიც ცხოვრობენ აღმოსავლეთში, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი იარაღია აღმოსავლეთთან ურთიერთობისთვის და მუდამ უნდა ვიზრუნოთ ამ თემებისთვის, რომ შეძლონ ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნება. (წერეთელი, 2014).

პიეტრო-დე-ლა-ვალე იხსენებდა, რომ ისპაჰანიდან შირაზის გზაზე როდესაც მოგზაურობდა, იგი შეხვდა ქართველ ბიჭს, რომელიც დამკვრელებთან ერთად ქართულს

ცეკვაავდა. როდესაც ბიჭი მიხვდა, რომ მოგზაურები იყვნენ და მათ საკუთარი საიდუმლო გაანდო. უბიდან ამოიღო ღვთიშობლის ხატი და უთხრა, რომ მან ვერ გაუძლო შიმშილსა და სიცივეს, რის გამოც მიიღო მაჰმადიანობა. ბიჭმა გადასცა ხატი და სთხოვა მისთვის ეპატრონა.

ქართველების ძალით გამუსულმანებას ასევე ადასტურებს დენ-გარსია, რომელიც მოგვითხრობს, რომ შაჰის მოედანზე იხილა რამდენიმე ქართველი გოგონა, რომლებსაც წამებით აიძულებდნენ მაჰმადიანობის მიღებას. გოგონები წამებით გარდაიცვალნენ, რადგან მათ უარი თქვეს ქრისტიანობის დათმობაზე. (ონიკაშვილი, ფერეიდანი, 2004)

ირანის სახელმწიფომ გამონაკლისის სახით რეგისტრაციაში გაატარა ორგანიზაცია „ქართველი მამულიშვილების საზოგადოება - „ირანის ქართველები“. ორგანიზაცია აქტიურად იბრძვის და შრომობს იმისთვის, რომ ყველა ეთნიკურად ქართველმა რომელიც ცხოვრობს ირანში, იცოდეს ქართული ენა. იბრძვიან იმისთვის, რომ ახალგაზრდებსა და ბავშვებში გააღვივონ ქართული ეროვნული თვითშეგნება.

გამორჩეული ქართველი მოღვაწეა ალი (ფაშა) იოსელიანი, რომელიც 30 წელია უანგაროდ ემსახურება ქართველებს და ბავშვებს ასწავლის ქართულ ენას. მათ ხელთ აქვთ საიდუმლო მოლაშვილის მიერ შედგენილი დედა-ენა. აღნიშნულ წიგნში ბევრი გრამატიკული შეცდომაა დაშვებული და სასწრაფოდ საჭიროებს განახლებას, ნათქვამია ნაშრომში. ირანის ქართველობა უკვე მრავალი წელია ითხოვს წიგნებითა და პატარ-პატარა რესურსით დახმარებას. (ონიკაშვილი, ფერეიდანი, 2004)

ლაზების ნაწილი ქრისტიანულ მსახურებას ღიად ეწეოდა, ნაწილი კი კატაკომბურ (ანუ ფარულ) მოღვაწეობაზე გადავიდა. ასევე, ლაზებმა დაარსეს საიდუმლო ქრისტიანების მიმართულება, რასაც უწოდეს „კრიპტო-ქრისტიანები“.

ქართველი (ლაზი) ქრისტიანებით დასახლებულ ტერიტორიებზე ხშირად მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დევნა. იხურებოდა და ძალიან ხშირად სრულად ნადგურდებოდა ქართული ტაძრები. მრევლზე ხორციელდებოდა ძლიერი ზეწოლა გამუსულმანების და რაც ყველაზე საკვირველია, გაბერძნებისა და გასომხების

მოთხოვნით. ამ დევნის პირობებში, ლაზების გარკვეული ნაწილი შიდა ქართლში გდმოსახლდა, დარჩენილების ნაწილი გამუსულმანდა, ნაწილმა კი სხვადასხვა ეკლესიებს შეაფარა თავი. ლაზების დიდი ნაწილი ფარული ქრისტიანია (ანდრიაძე, 2012).

საინგილოში მუშაობს საწარმოები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადასამუშავებლად. ქ. ზაქათალაში არის ზეთსახდელი, ღვინის ქარხანა კი ბელაქანში. ასევე არის კერამიკული ქარხანა. ასევე, ზაქათალაში, ბელაქანსა და კახში მუშაობენ პატარა ელექტროსადგურები.

ისტორიული წყაროების ცნობით, აღნიშნულ საწარმოებში ძირითადად მუშაობდნენ ეთნიკურად ქართველები და იქამდე სანამ საინგილო მდიდარ მხარედ ითვლებოდა, ქართული ენისა და კულტურის გავრცელებასაც აქტიურად აქცევდნენ ყურადღებას. სწორედ ამ საწარმოებიდან შემოსული შემოსავლით ფინანსდებოდა საკვირაო სკოლები (გამხარაშვილი, 1960).

დღეს სამწუხაროდ საწარმოების უმრავლესობა არის დაკეტილი, საინგილო აღარ არის მდიდარი მხარე და არც ეთნიკურად ქართველებს აქვთ დიდი შემოსავალი. რამაც გამოიწვია ქართული ენისა და კულტურის შესწავლის შეფერხება და დღეს ენის ცოდნის თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ინგილოებიც ითხოვენ ქართული მხარისგან შველას უკვე მრავალი წელია.

„ირანი რეგიონში მშვიდობისთვის“ ნაშრომში განხილულია ირანის მისწრაფება რეგიონში მშვიდობისკენ. ავტორის თქმით, ირანი არის ყველაზე სტაბილური და პროგნოზირებადი ქვეყანა რეგიონში, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ირანი გმობს ტერორიზმის აღზევებას.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პრობლემები, ირანისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ერთ-ერთი ძლიერი ქვეყნისთვის ირანში. „არაბული გაზაფხულს“ ირანზე დარი არ დაუსვამს, თუმცა რეგიონში მშვიდობის შენარჩუნება მაინც ირანის მიზანია. რადგან, რეგიონში სიმშვიდე ირანის წარმატებისა და სიმშვიდის გზაა. ამიტომაც, ირანი იბრძვის იმისთვის, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს ახლო აღმოსავლეთის სტაბილიზაციაში. ასევე, აქტიურად უპირისპირდება ტერორისტულ დაჯგუფებას „ისლამური სახელმწიფო“, რადგან ამ დაჯგუფებისგან მომავალი საფრთხე, ირანს ნამდვილად შეეხება (კაპანაძე, 2017).

იმის გათვალისწინებით, რომ ახლო არმოსავლეთში არსებობს გარკვეული საფრთხეები და ირანი ერთ-ერთი პროგნოზირებადი რეგიონია აღნიშნულ რეგიონში, შესაძლოა, რომ ირანში მცხოვრებმა ქართველებმა გარკვეული როლი შეასრულონ ირანთან ურთიერთობაში, რაც საქართველოსთვის მომგებიანი ნაბიჯი იქნება ახლო აღმოსავლეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის მხრივ.

„თურქი ლაზები და ეროვნული აღქმის პრობლემა“, გიორგი კრავეიშვილი: აღნიშნულ წერილში ლაზეთის მდგომარეობის სულ სხვა მხარეა ნაჩვენები. აღნიშნული წერილი ჩემთვის აღმოჩენა იყო, რადგან ჩემს მიერ გამოკითხულთა სრულ უმრავლესობას საპირისპირო აღქმა აქვს. ასევე, წლების განმავლობაში ვურთიერთობდი ლაზ ახალგაზრდებთან და მათგანაც არ გამიგია მსგავსი რადიკალური მიდგომა არაქართველობასთან დაკავშირებით.

წერილში საუბარია იმაზე, რომ ლაზების ნაწილი საკუთარ თავს მიიჩნევს შუა აზიიდან მისულ თურქებად, ნაწილის აზრით კი ლაზი ეს ცალკე ეროვნებაა და მხოლოდ ნაწილი აღიარებს ქართულ წარმომავლობას. წერილის ავტორის თქმით, ლაზი მასწავლებლები და კულტურის მოღვაწეები პირად საუბარში უარყოფენ ქართული კულტურისა და მუსიკის გავლენას ლაზურ შემოქმედებაზე. თუმცა ამ უარყოფის მიუხედავად, მათ ნამღერსა და შემოქმედებაში უხვად იგრძნობა ქართული მოტივები

ავტორის თქმით, ანტიქართული შეხედულებების ქართველები უშვებენ ჟურნალ-გაზეთებსაც, სადაც წერენ, რომ ქართველები არიან კოლხების მტერი. ქართული ორიენტაციის ლაზების შესაძლებლობები კი ძალზედ მწირია.

ნაშრომი უდაოდ საინტერესოა, გარკვეულ ნაწილში ვეთანხმები. ლაზები ყოველთვის გამოირჩეოდნენ თურქეთის მთავრობისადმი კრიტიკული მიდგომებით, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ისინი საკუთარ თავებს სხვა კულტურის წარმომადგენლებად მიიჩნევდნენ. ამიტომაც, არ გამიკვირდება თუ თურქეთის ხელისუფლებამ ძალით აამუშავა მსგავსი პროპაგანდისტული მანქანა და ლაზებში ქართული სულისკვეთების ჩასახშობად იყენებს მსგავსს მიდგომებს. რადგან, თურქეთი ნაკლებად ძალადობრივი ქვეყანაა განსხვავებული

მოსაზრების მიმართ, ამიტომაც ებრძვის ქართული ნაციონალიზმის ჩახრშობითა და ცდილობს, რომ მეტად თურქული იდეოლოგიის მქონე გახადოს ლაზები. (კრავიშვილი, 2018).

სამეცნიერო ჟურნალი „აღმაშენებელი“, ნაშრომის ავტ. ნოდარ კობერიძე, „ორასწლიანი დუმილის შემდეგ“: ავტორის თქმით, ფერეიდნელებთან ურთიერთობას სჭირდება განსაკუთრებული სიფრთხილე, რადგან ერთმა არასწორმა ნაბიჯმა შესაძლოა დაგვაკარგვინოს როგორც ფერეიდნელი ქართველები, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საქართველო-ირანის პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობები. ბ-ნი ანზორის თქმით, ფერეიდნელი ახალგაზრდები არიან ირანის ერთგული და პატრიოტი მოქალაქეები. ირან-ერაყის ომშიც არაერთმა ეთნიკურად ქართველმა გამოიჩინა თავი და გმირი გახდა (კობერიძე, 2010).

ვფიქრობ, რომ საკმაოდ ბუნებრივია, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ფერეიდნელი ქართველების სამშობლო ირანია. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეთნიკურად ქართველები საკუთარ თავებს ქართველებადაც აღიქვამენ და წლებია ცდილობენ ამის დამტკიცებას.

გაზეთი „თბილისი, ავტ: ნათელა არველაძე, „ფერეიდანი თუ ფერეიდნელი“?: სტატიაში საუბარია საქველმოქმედო საზოგადოების დაარსებაზე „ფერეიდნელები“. საზოგადოების მიზანი იყო, რომ ფერეიდნელი ქართველები დაებრუნებინათ საქართველოს მიწაზე მუდმივად ან დროებითი მივლინებით გაეგზავნათ.

ასევე, ორგანიზაციამ დაისახა მიზნად ქართული სახელმძღვანელოებისა და ღონისძიებების ირანში მოძიება. სტატიიდან ირკვევა, რომ 1990 წელს ირანში არსებობდა ქართული თეატრი. სტატიის მეშვეობით გვამცნობენ ინფორმაციას, რომ თეატრი ძალზედ ცუდ მდგომარეობაშია. ინგრევა იატაკი, არ აქვთ სარეჟისორო ოთახი, 60-მდე მსახიობი კი ფაქტობრივად მოხალისეობის ფარგლებში მუშაობს თეატრში, რადგან არ აქვთ შემოსავალი. ფერეიდნელი ქართველები ვერ აღდგენენ თეატრს, ირანის მმართველობა კი ავიწროვებს ეთნიკურად ქართველებს და არ აძლევს სახსრებს თეატრის რესტავრაციისთვის. სტატიით

ითხოვენ, რომ ქართულმა მხარემ გამოიჩინოს ინიციატივა და დაეხმარნონ თეატრის რესტავრაციაში ან მოახდინონ შუამდგომლობა და მიმართონ ირანის მმართველობას, გამოყონ ფინანსები ქართული თეატრისთვის (არველაძე, 1990).

## ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის საერთაშორისო გამოცდილება

იმისთვის, რომ განვიხილოთ არსებული შესაძლებლობები ქართულ ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობისა, საჭიროა, რომ გავანალიზოთ სხვა ქვეყნების მაგალითები, თუ როგორ ინარჩუნებენ კომუნიკაციას საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებთან. ასევე, რამდენად ძლიერია მათი დიასპორა და რა ხერხებითაა შესაძლებელი ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნება.

რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო ბევრი ქვეყნის მაგალითზე საუბარი, თუმცა გადავწყვიტე, რომ ვისაუბრო იმ ეთნიკურ ჯგუფებზე, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში. ვფიქრობ, რომ მეტად საინტერესო და შედეგიანი იქნება მსგავსი მიდგომა, რადგან მარტივდება როგორც ინფორმაციის მოძიება, ასევე მოძიებული ინფორმაციის ობიექტურობისა და შედეგიანობის შეფასება.

საქართველოში ცხოვრობს რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი, თუმცა ამ ნაშრომში განვიხილავ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, სომხებს, ებრაელებსა და თურქებს. თუ რა ხერხებით ინარჩუნებენ აღნიშნული ქვეყნები, საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობას და როგორ ეხმარებიან მათ ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნებაში.

**აზერბაიჯანი:** აზერბაიჯანელთა თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანულენოვანი სკოლები, აზერბაიჯანული კულტურის სახლი, ფოლკლორული ანსამბლები, აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების მიერ ფათალი ახუნდოვის, ნარიმან ნარიმანოვის, ჯალილ მამედყულიზადეს სახლ-მუზეუმები. ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აზერბაიჯანელთა კულტურული ცხოვრების განვითარებაზე ზრუნავენ. თბილისში მოქმედებს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი, აზერბაიჯანულენოვანი რადიო, გაზეთი და თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრი.

აზერბაიჯანის მთავრობა აქტიურად ურთიერთობს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებთან, სთავაზობს სხვადასხვა პროგრამებს, ფინანსურ დახმარებას, ახალგაზრდებს აზერბაიჯანის სახელმწიფო ბანაკებში მონაწილეობას. საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, მარტივად შეუძლიათ აზერბაიჯანის მოქალაქეობის მიღება და ახალგაზრდები ხშირად სარგებლობენ აღნიშნული პრივილეგიებით.

თბილისში 1921 წლიდან გამოდის გაზეთი “გიურჯისტანი”, რომლის სისხარტის მაჩვენებელი დავალია, თუმცა ინფორმაციის გავრცელებაში დიდ როლს ასრულებს (კომახია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თ. გ.).

**სომხეთი:** საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სომხურენოვანი სკოლები, კულტურული ცენტრები და საკვირაო სკოლები. უკვე საუკუნეზე მეტია, რაც თბილისში სომხური კულტურის კერას წარმოადგენს პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრი. სომხური თეატრი თბილისში 1858 წელს ჩამოყალიბდა. თეატრის რეპერტუარი მრავალფეროვანია, დგამენ როგორც სომეხი, ისე ქართველი, რუსი, ევროპელი დრამატურგების პიესებს. ყოველწლიურად საშუალოდ 4-5 პრემიერა მზადდება. უზრუნველყოფილია სპექტაკლების სინქრონული თარგმანიც რუსულ ენაზე.

თბილისში არსებობს სომეხი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პანთეონი, სადაც სომეხი ეროვნების ცნობილი საზოგადო მოღვაწეები არიან დაკრძალულნი. თბილისისა და ერევანის მერიების მხარდაჭერით რეკონსტრუირებული პანთეონი 2002 წლის 9 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა. თბილისში ფუნქციონირებს სომხური ფოლკლორული ანსამბლები, თეატრალური წრეები.

სომხურ კულტურის ცენტრში მიმდინარეობს ენის შემსწავლელი კურსები, ასევე ტარდება ლექციები სომხეთის ისტორიაზე. აღნიშნული ცენტრი უფასოა ეთნიკურად სომხებისთვის. ადგილზე ასევე ხდება ახალგაზრდების უნივერსიტეტისთვის ან კოლეჯისთვის მომზადება, რაც ასევე უფასოა.

სომხეთის საელჩო აქტიურადაა ჩართული საქართველოში მცხოვრები სომხების ცხოვრებაში, სთავაზობს სტიპენდიებს, სომხური ენის კურსებს, ყოველწლიურად რიგდება წიგნები სომხურ ენაზე. სომხური დიასპორა საკმაოდ ძლიერია და ამაში ქართული მხარეც უწყობს ხელს.

**თურქეთი:** საქართველოში და განსაკუთრებით მაღალმთან აჭარაში, თურქეთი აქტიურად ინარჩუნებს საკუთარ ეთნოსთან კავშირს. ბათუმის ტერიტორიაზე არის ბევრ მეჩეთი, თურქული სკოლა და კოლეჯი. ასევე, ახალგაზრდებს გაჭირვებული ოჯახებიდან, თურქეთის რესპუბლიკა სთავაზობს უფასო განათლებას, საცხოვრებელს, სტიპენდიას და ხშირად, თურქეთის ტერიტორიაზე გადასახლებასაც კი. ასევე, ხშირია თურქეთის მიერ ბიზნესს სექტორის დაფინანსება აჭარაში. საქართველოში ფუნქციონირებს თურქულენოვანი გაზეთი და რადიო.

ასევე ხშირია საქართველოში მხოვრები თურქი ახალგაზრდების თურქეთის ტერიტორიაზე ბანაკში წაყვანა, ტრენინგების შეთავაზება, უფასო ენის კურსები და წინა მოსამზადებელი პერიოდის დაფინანსება იმისთვის, რომ თურქეთის უნივერსიტეტში შეძლონ სწავლის გაგრძელება.

**ისრაელი:** საქართველოს თანამედროვე ებრაული თემის არსებობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ებრაული სააგენტო ისრაელისათვის („სოხნუთი“), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიო ებრაელთა შეკავშირებასა და ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობას (გაიხსნა 1989 წ.). „სოხნუთის“ საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მხარეა ინფორმაციის მიწოდება და დახმარების გაწევა იმ ებრაელთათვის, რომლებსაც ისრაელში ასვლა (რეპატრაცია) აქვთ გადაწყვეტილი; ბოლო დროს „სოხნუთის“ მხარდაჭერით მნიშვნელოვნად გაიზარდა ისრაელის უნივერსიტეტებსა და სკოლებში სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდების რაოდენობა. სააგენტოს ეგიდით მუშაობს „ულფანები“ (ებრაული ენის შემსწავლელი კურსები).

დღეისათვის ივრითი ისწავლება, აგრეთვე, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ივრითის სწავლება აქ შემოდებულ იქნა 1944 წ. აკად.

კონსტანტინე წერეთლის თაოსნობით), ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში, ღია ებრაულ უნივერსიტეტში, ებრაულ კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდში, სამუალო და საკვირაო სკოლებში.

საქართველოში მოქმედი ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი „ნაბიჯი თორისაკენ“, მოქმედებს საბავშვო ჯგუფი „შალომ სეზამი“, ებრაული კულტურის სახალხო უნივერსიტეტი, ხორციელდება პროგრამა „ჰათიკვა“, მიმდინარეობს ებრაული და ინგლისური ენების შესწავლა, მუშაობს პოეზიის მოყვარულთა წრე და სხვ. ფონდთან ფუნქციონირებს პროგრამა აფხაზეთიდან დევნილთათვის. 1997 წლიდან ყოველწლიურად ფონდი ატარებს ებრაული წიგნის ფესტივალს საქართველოში.

90-იან წლებში, როდესაც საქართველოში ეკონომიკური კრიზისი იყო, ებრაელი ოჯახებისთვის ისრაელიდან იგზავნებოდა საკვები, ჩასაცმელი, მედიკამენტები და ფინანსები. ასევე, ეთნიკურად ებრაელებისთვის არსებობს სპეციალური კოლეჯები, რის გავლის დროსაც მოსწავლე იღებს სტიპენდიას, შემდეგ კი უფასოდ აგრძელებს სწავლას უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი, მას შეუძლია წავიდეს ისრაელში სამუშაოდ ან საკუთარი ბიზნესისთვის მოითხოვოს ფინანსები სახელმწიფოსგან.

ზემოთ მოცემული მსჯელობით მიიღო იმის თქმა, რომ ჩვენს რეალობაშიც ბევრი ფაქტია იმისა თუ როგორ ცდილობენ სხვა ქვეყნები საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის შენარჩუნებას. აძლიერებენ ფინანსურად და ავლენენ დიდ სურვილს კავშირის შენარჩუნებისა. შედეგად კი იღებენ, საქართველოში მცხოვრებ ქართული მენტალობით გაზრდილ ადამიანებს, რომლებიც ეთნიკურად არიან მათი ქვეყნიდან და საქართველოსთან ამ ეთნიკური ჯგუფების დახმარებითაც ახერხებენ კარგი ურთიერთობის დამყარებას. გარდა ამისა, ყველა ქვეყანა საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებს განიხილავს როგორც გენოფონდს და ადამიანურ რესურსს, ასევე როგორც ძლიერ დიასპორას. (კომახია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თ. გ.)

## ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების ფსიქოლოგიური საჭიროება

### თვითაღქმა

ის ქართული ეთნიკური ჯგუფები რომელზეც ნაშრომში ვსაუბრობ, საკუთარ თავებს აღიქვამენ ქართველებად, ცდილობენ ქართველობას და ამას აღწევენ საუკუნეების განმავლობაში, ყველას დახმარების გარეშე.

კვლების დროს გამოკითხულთა ახალგაზრდების უმრავლესობასში მკაფიოდ გამოიკვეთა უნივერსალური ქართული ღირებულებებისა და კულტურის გათავისების სურვილი. გამოკითხულთა სრული უმრავლესობის აზრით საქართველო არის მათი მეორე ან პირველი სამშობლო.

### რელიგიური იდენტობა

გამოკითხვის დროს ყველა რესპოდენტს დავუსვი კითხვა „ რა როლს ასრულებს თქვენს ცხოვრებაში ქრისტიანობა ? “ გამოკითხულთა ორმოცდაათმა პროცენტმა აღნიშნა, რომ დიდ პატივს სცემს საკუთარ ისტორიულ სარწმუნოებას, მიესალმება ქრისტიანულ დღესასწაულებსა და ტრადიციებს, თუმცა ისინი არიან ოფიციალურად მუსულმანები და ეს მათი აღმსარებლობა . თუმცა , არ გამორიცხავენ იმ ფაქტსაც , რომ გაზრდილიყვნენ მეტად რელიგიურად თავისუფალ გარემოში, შესაძლებელია ყოფილიყვნენ სხვა სარწმუნეობის მიმდევრები .

ოცდაათმა პროცენტმა განაცხადა, რომ მისი ოფიციალური აღმსარებლობა არის არა ქრისტიანობა, თუმცა ისინი მისდევენ მართლმადიდებლურ მოძღვრებას.

ოცი პროცენტის მოსაზრებით, საკუთარ თავებს არ მიეკუთვნებენ არცერთ რელიგიას.

### ეთნიკური იდენტობის არსებობის მოტივაცია - რაში სჭირდება ის ადამიანს?

ზოგადად, ეთნიკური იდენტობის არსებობა ორ ძირითად დანიშნულებას ემსახურება: ეთნიკური იდენტობა ფსიქიკის ორ, კოგნიტურ და ემოციურ ფენომენს ფუნქციონირებაში ეხმარება.

სოციალური საზღვრები - კოგნიტური ასპექტი

ეთნიკური თვითყოფადობა ადამიანს ეხმარება უკეთესად აღიქვას სამყარო. აღნიშნული კარგი განმსაზღვრელია ადამიანის კლასიფიცირებისთვის. იგი ეხმარება გარშემო განვითარებული სოციალური ველისგან გამოყოფაში. ეს მსჯელობა შეესაბამება ფრედრიკ ბარტის სოციალური საზღვრების თეორიას (Barth, 1969).

ეთნიკური იდენტობა - ემოციური ასპექტები

ეთნიკური თვითყოფადობის განცდა ძლიერ ემოციურ და ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობას იწვევს. თუმცა, გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობას არა მხოლოდ ემოციური მიჯაჭვულობა აკავშირებს საქართველოსთან, არამედ, გააზრებული აქვს საკუთარი წინაპრების ისტორია და ანალიზის საფუძველზე საკუთარ თავს მიიჩნევს ქართველად.

ემოციური მიჯაჭვულობა რა თქმა უნდა არის, განსაკუთრებით შეინიშნება ფერეიდნელ ქართველებში. რადგან ფერეიდნელ ქართველებზე გავლენა მოახდინა ირანულმა ლიტერატურულმა განწყობებმა და საკუთარი წინაპრების ტრაგიკული ისტორიის ცოდნამ.

## სახელმწიფო პროგრამები ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის

სანამ აღნიშნულზე მსჯელობას დავიწყებ, მსურს, რომ ავღნიშნო ის ფაქტი, რომ ჩვენი თემატური საჯარო უწყებები, აქტიურად არ საუბრობენ საჯაროდ ქართულ ეთნიკურ ჯგუფებზე. პრობლემა შემექმნა ინფორმაციის გამოთხოვის პროცესში, რადგან ქართული ეთნიკური ჯგუფებისთვის განხორციელებული პროექტები, არ არის ცალკე პროგრამებად შექმნილი. ძირითადად პროგრამები ხორციელდებოდა სხვა დიდი პროექტების ფარგლებში და შესაბამისად, რომელ დეპარტამენტს უნდა მოეწოდებინა ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, საკამათო საკითხი გახდა.

**გიორგი მარგველაშვილის ინიციატივით 2018 წლამდე, პრეზიდენტის ფონდიდან თვეში 20 ფერეიდნელი ახალგაზრდას საქართველოში ჩამოსვლა ფინანსდებოდა. ფერეიდნელები ამ დღეების განმავლობაში გადიოდნენ ქართული ენის ინტენსიურ კურსს, სწავლობდნენ ქართულ ცეკვასა და სიმღერას, ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიას, ეუფლებოდნენ ქართულ ტრადიციულ კულინარიას.**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით 900 ფერეიდნელი ესტუმრა საქართველოს. აქედან 200-მა ახალგაზრდამ საქართველოში გააგრძელა სწავლა, 5-მა კი საქართველოში ბიზნესი წამოიწყო. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აღნიშნული პროგრამა არ ხორციელდება.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ჩემთან საუბრის დროს განაცხადა (საუბარი შედგა ტელეფონით), რომ ადმინისტრაცია ცდილობს არამიზნობრივი ხარჯების თავიდან აცილებას. მათთვის მიმდინარე წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა, მოუწიათ ახალ ბიუჯეტზე მუშაობა, ასევე ახალი პრიორიტეტული საკითხების დასახვა. თუმცა, გიორგი მარგველაშვილის მიერ დაწყებულ პროგრამას მიიჩნევენ ძალიან საჭირო პრაქტიკად და 2020 წლის ბიუჯეტში შეეცდებიან ხელახლა ჩასვან აღნიშნული პროექტი.

**საგარეო საქმეთა სამინისტროსა და თურქული მხარეს თანამშრომლობით:** თურქეთმა საქართველოს მისცა საშუალება, იმისა, რომ ქართული სკოლები ან სკოლებში ქართული ენის კურსები ამოქმედებინა ქართულ მხარეს. 2013 წელს აქტიურად დაიწყო აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროშიც მომზადდა პროგრამა, თუმცა ნელ-ნელა მინელდა აღნიშნულ საკითხზე მუშაობა და თურქეთის ტერიტორიაზე სულ 30 ქართულის მასწავლებელი გაიგზავნა, რაც დამეთანხმებით მწირი რაოდენობაა.

დღეს აღნიშნული პროექტი არ მოქმედებს, არ ხდება არც დამატებითი ფინანსების მობილიზირება. სამინისტროს თქმით, აღნიშნული პროექტი შესაძლოა 2020 წლის ბიუჯეტში ჩაჯდეს. (დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატი, თ. გ.)

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო:** სამინისტროს თქმით, „აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს 6 ქართული სკოლა და 4 ქართულენოვანი სწავლების სექტორი, მათ შორის: კახის რაიონში – 6 სკოლა და 1-სექტორი, ბელაქანის რაიონის სოფ. ითითალაში 1 სექტორი, ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადში – 1 სექტორი და ასევე ზაქათალის რაიონის სოფ. მოსულში -1 სექტორი. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ დაბა ალიაბადში არსებული სამი ქართულენოვანი სექტორიდან 2 გაუქმდა.

რეგიონში მოქმედებს ქართულენოვანი სკოლამდელი 7 დაწესებულება: კახის რაიონში – 6 და ბელაქანის რაიონში – 1.“

1985 წლიდან კახის რაიონის სოფ.ალიბეგლოში ფუნქციონირებს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული თეატრი. მის რეპერტუარშია ქართველი და უცხოელი დრამატურგების ნაწარმოებები. 2005 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებით, აღნიშნულ თეატრს მიენიჭა სახელმწიფო აკადემიური თეატრის სტატუსი. კახის რაიონში მოქმედებს ქართული ხალხური სიმღერის ორი ანსამბლი: “ლაზარე” და „ჰერულა“. აგრეთვე ბავშვთა ქორეოგრაფიული და სიმღერების ჯგუფები.

2013 წლიდან განათლების სამინისტროს მიეცა საშუალება სკოლებში წიგნების ჩატანის, რაც დღევანდელ დღემდე განხორციელდა 5-ჯერ.

**საქართველოს საპატრიარქო:** სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2003 წელს დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს „ლაზური პროექტი“, რომელიც მიზნად ისახავს ლაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურისა და ფოლკლორის შესწავლასა და პოპულარიზაციას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ჩამოდიან ლაზები საქართველოში და ხდება ინფორმაციის გაცვლა. ამ პროექტის მეშვეობით, ლაზებმა აღადგინეს ურთიერთობა საქართველოსთან და დღეს დამოუკიდებლად და სტაბილურად ბევრი ლაზი სტუმრობს საქართველოს.

**ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი:** ყოველწლიურად ახორციელებს ბანაკებს, ანაკლიასა და შაორზე. აღნიშნული ბანაკის ფარგლებში, ჩამოდიან ქართველი ახალგაზრდები აზერბაიჯანიდან. ნაკადში სადაც ინგილო ახალგაზრდები არიან, დგება სპეციალური პროგრამა, ქართული ენის კურსი და ინტეგრაციის საღამოები. აღნიშნული ბანაკების ფარგლებში, საქართველოს ესტუმრა 300-მდე ეთნიკურად ქართველი აზერბაიჯანიდან (2012-დან დღემდე).

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო:** ერთ-ერთი პროგრამის შინაარსი და მიზანი შემდეგია: სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ჟურნალისტებისათვის რადიოსადგურ AGFM-ზე (ქართული რადიო აზერბაიჯანულ ენაზე) განხორციელდა პროექტი -სასწავლო ტრენინგ-კურსი „რადიო ჟურნალისტიკა მასობრივ კომუნიკაციაში“, რომელიც ითვალისწინებდა რადიო ჟურნალისტიკის პროფესიით დაინტერესებული ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისათვის თეორიულ და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას.

პროექტში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანში მცხოვრებმა ეთნიკურად ქართველებმაც. პროექტის შედეგად რადიო AGFM-ში ხუთი აზერბაიჯანელი და 3 ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდა დასაქმდა.

თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან აზერბაიჯანში მცხოვრები ეთნიკურად ქართველებში ჯერ კიდევ დგანან ქართული სახელმძღვანელოებისა და ენის შესწავლის პრობლემის წინაშე, რაც აფერხებს ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდების საქართველოში სასწავლებლად ან სამუშაოდ წამოსვლას.

**შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი:** პროექტი „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ ძალიან წარმატებული პროექტი აღმოჩნდა.

<http://corpora.co> - აღნიშნული საიტის მეშვეობით შესაძლებელია მრავალი ქართული დიალექტიდან თაბამედროვე ქართულზე ტექსტის თარგმნა და პირიქით.

აღნიშნულ საიტზე განთავსებულია შემდეგი დიალექტები: იმერული, ინგილოური, ლაზური, ფერეიდნული, ჩვენებურების ქართული. საიტით სარგებლობა შეიძლება სრულად უსასყიდლოდ. მომხმარებელს შეუძლია შეიყვანოს სიტყვა საკუთარი დიალექტის მიხედვით და ნახოს შეყვანილი სიტყვის თანამედროვე შესატყვისი.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული წიგნების აზერბაიჯანში, თურქეთსა და ირანში გაგზავნა გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, აღნიშნული პროექტი ნამდვილად დაეხმარება ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებს ფუნდამენტრი ტანამედროვე ქართულის შესწავლაში.

სამწუხაროდ, ჩემს მეორ გამოკითხულმა არცერთმა ეთნიკურად ქართველმა ახალგაზრდამ არ იცოდა აღნიშნული პროექტის შესახებ. (თავისუფალი უნივერსიტეტი, თ. გ.)

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი:** 2017 წელს შეიქმნა ქართული ენის დისტანციური სწავლების ცენტრი. რომელიც სრულად უსასყიდლოა. აღნიშნული არ არის მხოლოდ ფერეიდნელებისთვის, ლაზებისთვის, ინგილოებისთვისა და ჩვენებურებისთვის. თუმცა აღნიშნულით სარგებლობა მათაც შეუძლიათ.

პროექტის მიზანია: საზღვარგარეთ მცხოვრებ ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუწყონ ხელი ქართული ენის გამარტივებულად სწავლაში. ასევე, პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მოხდეს უცხოეთში მცხოვრებია დამიანების საქართველოსთან დაახლოების ხელშეწყობა.

ქართული ენის დისტანციური სწავლების პლატფორმა შემდეგნაირად ფუნქციონირებს: გაკვეთილები ტარდება პროფესიონალი მასწავლებლების ხელმძღვანელობით, ვირტუალურ საკლასო ოთახს უზრუნველყოფს კომპანია Microsoft-ი (Skype for Business, Microsoft Classroom), შეთავაზებული ონლაინ გაკვეთილები ეფუძნება სწავლების ინტერაქტიულ მეთოდს, პროცესში გამოიყენება თამაშით სწავლების მეთოდი, ილუსტრირებული და ვიზუალიზებული სავარჯიშოები. (განათლების სამინისტრო, 2017).

**საქართველოს პარლამენტი:** 2019 წლის 26 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

კომიტეტზე იმსჯელეს აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების სირთულეებზე, ასევე დათქვეს სტუმრობა ჰერეთში. მარიამ ჯაშის თქმით, აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებს უნდა ჰქონდეთ იგივე პრივილეგიები რაც საქართველოში მცხოვრებ სტუდენტებს აქვთ. მათ უნდა შეეძლოთ განათლების მიღება, ჯანდაცვისა და სხვა იმ მომსახურების რაც ხელმისაწვდომია ქართველებისთვის. ასევე, მარიამ ჯაშის თქმით, მოსაფიქრებელი იქნება ერთიანი მიდგომა, რაც მოხდება ორივე ქვეყნის შეთანხმებით და ქართველები შეძლებენ იქონიონ უფრო აქტიური კავშირი საკუთარ ისტორიულ სამშობლოსთან.

ჯერ-ჯერობით აღნიშნული მოლაპარაკებები არ დაწყებულა, თუმცა კომიტეტის თქმით, ამ ეტაპზე მსგავსი კომუნიკაცია ვერ შედგება დავით გარეჯში მიმდინარე პროცესების გამო და შეეცდებიან, რომ ოქტომბრის თვისკენ შედგეს აღნიშნული მოლაპარაკებები და დაიწყოს მომსახურების შეთავაზებაზე მუშაობა.

**დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი:** აღნიშნული აპარატი საკუთარ საქმიანობას ახორციელებდა 2016 წლამდე. შემდეგ აპარატის ფუნქცია შეითავსა საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

აპარატმა შეიმუშავა სასწავლო წიგნების კრებულები უცხოეთის საკვირაო სკოლებისთვის შემდეგი მიმართულებებით: ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული როგორც მეორე ენა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია. ამ პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს

საკვირაო სკოლების განვითარებას და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბავშვებში ქართული ნის სიყვარულისა და ცოდნის დანერგვას. ჩემს მიერ გამოკითხულთა ნაწილმა აღნიშნა ამ წიგნების მნიშვნელობა, თუმცა ისიც თქვა, რომ წიგნებით სარგებლობა შეუძლიათ მათ ვინც სრულყოფილად იცის ქართული ენა და ლიტერატურა და შეძლებს აღნიშნული ცოდნის ახალგაზრდებისთვის გადაცემას. წიგნები არის ქართულ ენაზე შედგენილი, რაც ძალიან კარგად ეხმიანება სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველების გამოწვევებს (რადგან მათი წასვლის პერიოდი არ გრძელდება საუკუნეების განმავლობაში, ასევე მათი კომუნიკაცია უფრო ხშირია საქართველოსთან). წიგნებით სარგებლობა ჩემს ნაშრომში განხილულ ეთნიკურ ჯგუფებს ფაქტობრივად არ შეუძლიათ და ისინი საჭიროებენ მათთვის მორგებულ სახელმძღვანელოებს ან კვალიფიციურ მასწავლებლებს, რომლებიც შეძლებენ ინფორმაციის გადაცემას ახალგაზრდებისთვის.

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო:** 2019 წელს შეიმუშავეს „საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2019-2022წ“. დოკუმენტში სამინისტროს მთავარ მიზნად არის მოხსენიებული, ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზებით აღდგენა, ქვეყნის დეოკუპაცია, იძულებით გადაადგილებული პირთა და ლტოლვილთა სახლებში დაბრუნება. უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან ნდობის აღდგენა.

დოკუმენტის შინაარსი და მოცულობა საკმაოდ დატვირთულია. მიზნები გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ დოკუმენტში იქნება საუბარი იმ ეთნიკურ ჯგუფებზე, რომლებზეც ნაშრომში ვსაუბრობთ. თუმცა, კონკრეტულად ეთნიკურ ჯგუფებზე არაა საუბარი.

ირანთან ურთიერთობა: საუბარია, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან არსებული მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია. რომ საქართველო გააგრძელებს ირანთან ორმხრივ ურთიერთობას კულტურის, ეკონომიკისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების კუთხით.

სამწუხაროა, რომ არ არის კონკრეტულად ირანში მხოვრებ ქართველებზე საუბარი და არ არის კონკრეტულ მიზნად მოხსენიებული ფერეიდნელი ქართველებისთვის ეროვნული იდენტობის წარმოჩენის შესაძლებლობებზე საუბარი. ასევე, არ არის კონკრეტულად საუბარი წიგნებისა და სხვა საგანმანათლებლო საშუალებების მიწოდებაზე. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2019)

აზერბაიჯანთან ურთიერთობა: თუ ირანთან ურთიერთობაზე ეწერა, რომ მნიშვნელოვანია განათლებისა და კულტურის განხრით ურთიერთობა, აზერბაიჯანის შემთხვევაში უფრო დიდი ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკასა და თავდაცვის სფეროში ტანამშრომლობაზე. არაა საუბარი აზერბაიჯანში მცხოვრებ ქართველებზე და არც იმ გზებზე, რომელიც გაუმარტივებს ინგილოებს ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2019).

თურქეთთან ურთიერთობა: აქაც იგივე მდგომარეობაა, რაც აზერბაიჯანის ნაწილში ვისაუბრეთ. ყურადღება არის გამახვილებული ვაჭრობასა და ეკონომიკაზე.

ვფიქრობ, რომ შესაძლებელი იყო ქართულ ეთნიკურ ჯგუფებზე საუბარი და სტრატეგიის ნაწილად ქცევა. ეს მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც სამომავლო გეგმების დასახვის მხრივ, ასევე იქნებოდა დაფასება და აღიარება იმისა, რომ საუკუნეებია იბრძვიან საქართველოსთან კავშირის შენარჩუნებას.

## ახალგაზრდა ფერეიდნელების, ლაზების, გურჯებისა და ინგილოების კომენტარი

### ფერეიდნელი ქართველების კომენტარი:

საქართველოსთან ურთიერთობის შენარჩუნებას ჩვენ საუკუნეებია რაც ვახერხებთ და ეს იმის დამსახურებაა, რომ არ ვკარგავთ ჩვენს ტრადიციებს, ენას და ურთიერთობებს, რაც გვაქვს ფერეიდნელ ქართველებს ერთმანეთთან.

საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან კავშირი არც ისე მყარი და ხშირია, ძირითადად ურთიერთობა გვაქვს ირანისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან, მოგზაურებთან, რომლებიც არც თუ ისე ხშირად ჩამოდიან, ყველაზე ნაყოფიერი მაშინაა ჩვენი და საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების ურთიერთობა, როდესაც ჩვენ ვახერხებთ საქართველოში ჩამოსვლას.

საქართველოს მხრიდან ხშირად არ ხდება რაიმე პროგრამების შემოთავაზება, ან შესაძლოა ჩვენამდე არ მოდის ინფორმაცია. რაც მახსენდება არის პროექტი; საზაფხულო ბანაკები, სადაც აქტიურად ვერთვებით და ყოველ წელს 50-მდე ფერეიდნელი ახალგაზრდა ჩამოდის საქართველოში აღნიშნული პროგრამით.

უპირველეს ყოვლისა, გვჭირდება ქართული სკოლა ან ენის კურსები, მსგავსი აქტივობების განხორციელება რთული გახდა ბოლო წლების განმავლობაში, ირანის სახელმწიფოს გადაწყვეტილებით. გვჭირდება ქართველი დიპლომატების მხარდაჭერა და მოლაპარაკებები, რათა ქართული ენის შემსწავლელი წიგნების შემოტანა მოხდეს და ასევე, არ მოხდეს ხელის შეშლა ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი წრეების გახსნისას. ასევე, სასურველია თუ ფერეიდნელი ახალგაზრდებისთვის მოხდება უფრო მეტი სასწავლო პროგრამის შემოთავაზება, რადგან ბევრს გვინდა საქართველოში სწავლის გაგრძელება და ვერ ვახერხებთ, ენის ბარიერისა და ფინანსების გამო. ვფიქრობ, რომ პრობლემების გადაჭრის მთავარი გზა, განათლების ხელმისაწვდომობაა.

ირანი ჩაკეტილი სივრცეა, ფუნდამენტური ისლამური სახელმწიფო, რაც რა თქმა უნდა გამორიცხავს რელიგიურ თავისუფლებას. ჩვენ გვიწევს რელიგიური მრწამსის დამალვა, ასევე ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი ტრადიციების გაზიარებაც არ შეგვიძლია ღიად. პრობლემა გვაქვს ასევე ქართული წიგნების საჩუქრად გადმოცემასთან დაკავშირებით.

საქართველო ჩვენი ისტორიული სამშობლოა, ჩვენ ნების გარეშე წამოვედით საქართველოდან და დღემდე გვტკივა ეს ფაქტი. ამისდა მიუხედავად, ირანიც ჩვენი მეორე სამშობლო გახდა, მაგრამ ეს არ ცვლის იმას, რომ ჩვენ ქართველები ვართ. ჩვენი წინაპრები იყვნენ ქართველები, გადმოგვცეს ჩვენ ისტორია და ტრადიციები, არ ვაპირებთ ამის დაკარგვას იმ სირთულეების გამო რასაც ვაწყდებით.

ზოგს იმედი აქვს გაცრუებული, საქართველოს უყურადღებობის გამო ჩვენს მიმართ, ზოგისთვის ისიც მტკივნეულია, რომ ფერეიდნელ ქართველებს ხშირად თათრებს გვეძახიან და საქართველოშიც კი დაბალია ფერეიდნელების ისტორიის ცოდნის დონე, რაც საზოგადოებისგან დევნას იწვევს. უამრავი იმედგაცრუების მიუხედავად, უფროსი ფერეიდნელები არ წყვეტენ ქართული ტრადიციებით ცხოვრებას, ქართულ ენაზე საუბარს და ახალგაზრდებისთვის საქართველოს მიმართ სიყვარულის გაზიარებას.

სამწუხარო რამ უნდა ვთქვა, საქართველოს საელჩო ირანში ძალიან პასიურია, ფაქტობრივად არ იბრძვის ჩვენთვის და ეს რამდენიმე წლის პრობლემაა, არა ახალი.

საქართველოში წამოსულ ფერეიდნელ ახალგაზრდებს ძირითადად ყველას აქვთ უკვე საქართველოს მოქალაქეობა, რაც ნამდვილად დამაიმედებელია ჩვენთვისაც, თუმცა ხშირად ებლოკებათ საბანკო ანგარიშები. ასევე ერთი ტენდენცია შეინიშნება, საქართველოში გვეუბნებიან რომ ვართ ირანელები, ირანში კი ამბობენ რომ ვართ ქართველები. იდენტობის შენარჩუნებისთვის ეს ძალიან ცუდი მომენტი.

ფერეიდნელი ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას მიღებული აქვს ან იღებს უმაღლეს განათლებას. ქართველები მუშაობენ სამინისტროებში, მაღალ სამთავრობო პოზიციებზე, თეირანის უნივერსიტეტში ლექტორებად, ტელევიზიაში წამყვანებად და ა.შ.

ვფიქრობ, რომ მონდომების შემთხვევაში, არ ვიზღუდებით კარიერულად. შეზღუდვა მხოლოდ ქართული იდენტობის შენარჩუნების პროცესში მოქმედებს.

#### **ლაზი ახალგაზრდების კომენტარები:**

თურქეთი ჩაკეტილი სივრცე ნაკლებადაა, საშუალების ქონის შემთხვევაში, თავისუფლად ვმოგზაურობთ საქართველოში და ვიცნობთ ახალ ხალხს. ასევე, თურქეთში ცხოვრობს ბევრი ქართველი, რომელიც დაბადებულ-გაზრდილია საქართველოში, ჩვენ მათთან მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს და ხშირად ვცვლით ინფორმაციას საქართველოს შესახებ.

ჩვენი და საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების კავშირი შემოიფარგლება მხოლოდ შემთხვევითი ნაცნობობითა და საპატრიარქოს ინიციატივით. ლაზი ქართველები როდესაც ჩამოვდივართ საქართველოში, საპატრიარქოდან მოგვდის მოწვევა, ვსტუმრობთ საქართველოს კათალიკოს პატრიარქს. შეხვედრაზე ასევე იმყოფებიან ლაზებით დაინტერესებული ორგანიზაციები და ახალგაზრდა ეკლესიის მსახურები, რომლებსაც თურქეთიდანაც აქტიურად ვეკონტაქტებით ხოლმე.

საქართველოს მხრიდან შემოთავაზებულ აქტივობებსა და პროგრამებზე სამწუხაროდ ბევრი არაფერი ვიცი და როგორც აქამდე მსმენია, არც ჩემი მეგობრები არიან ინფორმირებულნი. ჩვენ ერთადერთი საპატრიარქოსთან გვაქვს ურთიერთობა და კერძოდ, გიორგი ანდრიაძესთან.

მინდა ყურადღება გავამახვილო თურქეთის მიერ დართულ ნებაზე, რომლის მიხედვითაც სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სკოლაში ქართულის სწავლა. ბევრმა სკოლამ აირჩია ქართული (ქართველების სიმრავლის გამო). თუმცა უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს მხრიდან ვერ მოხერხდა კვალიფიციური პედაგოგის გამოგზავნა თურქეთში. ზოგ სკოლამ შეწყდა ქართულის გაკვეთილები, ზოგში კი ქართულს ასწავლიან არაკვალიფიციური ამსწავლებლები, რაც ბუნებრივია, რომ მაღალი დონის გაკვეთილები ვერ იქნება. ენის ბარიერი თუ მოიხსნება ჩვენსა და საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის, ბევრად გაგვიმარტივდება მათთან ურთიერთობა, საქართველოში სასწავლებლად ჩამოსვლა და ასევე დასაქმებაც საქართველოში.

იმის მიუხედავად, რომ თურქეთი შედარებით ღიაა სხვა სარწმუნოებისა და ეთნოსის მქონე ადამიანებისთვის, პრობლემები მაინც გვექმნება ქართული ადათ-წესების შენარჩუნებისას, მაგრამ არა კრიტიკული.

ბევრი ადამიანი გვეკითხება, რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენთვის თქვენი ისტორიული წარმომავლობა? პასუხი მარტივია, ჩვენ თავს აღვიქვამთ ქართველებად და შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია წინაპრების ტრადიციებთან მეგობრობა.

უფროს თაობასაც ძალიან ემოციური და კარგი დამოკიდებულება აქვთ საქართველოსა და ქართველების მიმართ, ისეთივე როგორც ჩვენ, პატივისცემით სავსე. თუ რამე ბიზნესი აქვს ფერეიდნელს თურქეთში, ცდილობს ადგილობრივი ქართველი ან საქართველოდან ჩამოსული ადამიანი დაასაქმოს, უფროსი თაობა ესე გამოხატავს პატივისცემას საქართველოსა და ქართველების მიმართ.

საქართველოს საელჩო თურქეთში ცდილობს ხოლმე დაგეგმოს ქართული საღამოები, ჩვენც ვესწრებით ხშირად და ვურთიერთობთ ჩვენს ხალხთან.

#### **ახალგაზრდა ინგილოების კომენტარი:**

ინგილოები მრავალი წელია ქართული იდენტობის დაკარგვის წინაშე დგანან. აზერბაიჯანული მხარე სიტყვიერად აღიარებს, რომ გამაჰმადიანებული ინგილოები ქართველები არიან. თუმცა ოფიციალურად ამის გაფორმებას ეწინააღმდეგება აზერბაიჯანული მხარე. 1989 წლის საერთო-საკავშირო მოსახლეობის აღწერისას, ზაქათალის და ბელაქნის გამაჰმადიანებულ ქართველთა 95% ეთნიკურ ჯგუფ „ინგილოდ“ ჩაეწერა.

2004 წელს ნინო ბურჯანაძე და რეზო მიშველაძე იმყოფებოდნენ ბაქოში. შეხვედრაზე იდარალიევმა გამოთქვა მზაობა იმისა, რომ დააკმაყოფილებდა ინგილოთა მოთხოვნას. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა როდესაც მივიდა ადგილობრივ მაჩის ბიუროში ქართული გვარების აღსადგენად, მათ კატეგორიული უარი გამოუცხადეს.

ასევე, 2004 წელს აზერბაიჯანულმა მხარემ მრავლად დახურა ქართული ენის სექტორები, აღდგენა მხოლოდ 2007 წელს მოხდა, ეგეც ნაწილობრივ. დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სულ 6 ქართული სკოლაა და რამდენიმე ქართული სექტორი, რაც ვერ პასუხობს ინგილოების გამოწვევებს, თუნდაც წიგნებისა და ქართული ენის პედაგოგების სიმწირის გამო.

2007 წელს დაფიქსირდა ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობისთვის ძალიან სახიფათო შემთხვევა. ქართული ისტორიის პედაგოგის ლიანა ყულოშვილის თქმით (სახელი-გვარი მისი თხოვნით შეცვლილია), აქამდე ზეწოლა მხოლოდ ფსიქოლოგიური იყო, რამდენიმე დღის წინ კი ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები სცემეს ქართულად საუბრის გამო. აღნიშნული შოვინისტური მიდგომა თვითონ აზერბაიჯანელი მმართველებისგან მოდის, რაც საზოგადოებაშიც არ რჩება უკვალოდ.

ისტორიის მასწავლებელი იმდროინდელ განათლების მინისტრს, ირაკლი ლომაიას სთხოვდა დახმარებას. ირაკლი ლომაიას თქმით „საინგილოში მომხდარი ინციდენტი პოლიტიკური დაპირისპირების შედეგია. სწორედ იმის გამო, რომ დაპირისპირებამ უფრო მწვავე ფორმა არა მიიღოს, მომხდარზე განათლების მინისტრი კომენტარს არ აკეთებს“. (რეზონანსი, 2007).

აზერბაიჯანში მცხოვრებ ინგილოებს ძირითადად აქტიური ურთიერთობა გვაქვს მარნეულთან. მარნეულის წარმომადგენლობა ხშირად ინტერესდება ჩვენი სოფლებით და გვსტუმრობენ კიდევ. ახალგაზრდებთანაც გვაქვს ურთიერთობა, მარნეულის ახალგაზრდობასთან.

ქართული სათვისტომო აზერბაიჯანში ცდილობს მუდმივად გვაგრძნობინოს ქართველობა, ამისთვის მადლობლები ვართ. ჩვენთან არის ქართული სკოლებიც, რომლებიც უფრო აქტიურად იმუშავენდნენ თუ ქართველი მასწავლებლებიც იქნებოდნენ.

მარნეულთან ურთიერთობით ჩვენ ბედნიერები და მადლიერნი ვართ, თუმცა გაგვიხარდება თუ დედაქალაქთანაც გვექნება კავშირი და შევძლებთ თუნდაც სწავლის გაგრძელებას საქართველოში. შეიქმნება სპეციალური პროგრამები, ენის კურსები და ა.შ.

რა თქმა უნდა სწავლას არავინ გვიშლის საქართველოში, მაგრამ არც ორგანიზებულად ხდება ამის შემოთავაზება ჩვენთვის. ჩვენ გვჭირდება სპეციალური პროგრამები, რომლის დახმარებითაც ჩამოვალთ საქართველოში და უკეთესად გავვეცნობით ჩვენი წინაპრების ტრადიციებსა და ჩვენი მეორე სამშობლოს კულტურას.

### **გურჯების (ჩვენებურების) კომენტარი**

ისევე როგორც ამ ნაშრომში განხილული სხვა ქართული ეთნიკური ჯგუფები, ჩვენებურებიც განიცდიან საქართველოსგან სიშორეს. ჩვენებურები არიან განსაკუთრებით აქტიურნი ხელოვნებაში. გურჯებს აქვთ საკუთარი ფესტივალი, გაზეთი, კულტურის ცენტრი და ა.შ.

ერთი ცნობილი გამონათქვამი მახსენდება: “მირჩევნია უცხოეთში ვიყო გურჯი, ვიდრე საქართველოში – თათარი” - ამ სიტყვებს თურქეთში მცხოვრები ბევრი ეთნიკურად ქართველისგან გავიგებთ. განსაკუთრებით კი ეს საკითხი გურჯებს ადარდებთ.

მათი თქმით, საზოგადოება ვერ აღიქვამს მათ როგორც ქართველებსა და საქართველოს მოქალაქეებს ნამდვილად სჭირდებათ საკითხის უფრო სიღრმისეულად ცოდნა.

„ჩვენებური“ ახალგაზრდების უმრავლესობა, საქართველოს ხელისუფლებას სთხოვს მათზე მეტად ადაპტირებულ სასწავლო გარემოს. როგორც საწყისს ეტაპზე, ასევე უმაღლესი სასწავლებლის დროს.

რესპოდენტი, რომელიც ერთ-ერთი საკვირაო სკოლის მოხალისე მასწავლებელია, ამბობს, რომ საქართველოში რამდენჯერმე დაანონსდა წიგნების გადაცემის საკითხი გურჯებისთვის. თუმცა მათთან ეს წიგნები მასიურად არ მისულა. „სულ რამდენიმე წიგნმა ჩამოაღწია სოფლამდე, რაც რა თქმა უნდა გადავაქსეროქსეთ და ისე დავურიგეთ მოსწავლეებს. თუმცა, 1 განახლებული წიგნის ქონა სურათს არ ცვლის. ჩვენ გვჭირდება საქართველოს ისტორიის, ენისა და ლიტერატურის და ასევე, საქართველოს გეოგრაფიის წიგნები. მასიურად იხურება საკვირაო სკოლები და ქართული სექციები იმ იმიზეზით, რომ

ჩვენ ვერ ვუზრუნველყოფთ ხარისხიან განათლებას, ამით კი თურქეთის მთავრობა მშვენივრად სარგებლობს“.

### **ინტერვიუების შეჯამება:**

ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები წლების განმავლობაში ინარჩუნებენ ქართულ თვითმყოფადობას. მათ სურთ საქართველოსთან ურთიერთობა, სწავლა, ისტორიის, ენისა და კულტურის უკეთესად შესწავლა. ისტორიულ ფესვებთან და საკუთარ სამშობლოსთან ურთიერთობა.

პირდაპირი გზით მათი სურვილებისთვის ხელის შეშლა რა თქმა უნდა არ ხდება, თუმცა არსებობს მრავალი ბარიერი, რომლის მოგვარებაც შესაძლებელია საქართველოს დიპლომატიური კორპუსისა და ჩვენი მეზობელი ქვეყნების დიპლომატებთან ურთიერთობით.

ინტერვიუებიდან აშკარად იკვეთება ენის პრობლემა, არსებობს საშიშროება, რომ ქართული ენის შესწავლას ვეღარ შეძლებენ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდები, რაც რა თქმა უნდა გარკვეულ კითხვის ნიშნებს გააჩენს, შეძლებენ თუ არა ენის გარეშე ქართული ფესვების შენარჩუნებას.

ხშირ შემთხვევაში არ/ვერ ხდება ლაზების, ფერეიდნელების, გურჯებისა და ინგილოების აქტიური ურთიერთობა საქართველოსთან, ნაკლებად ხდება სასწავლო პროგრამებისა და ინტეგრაციისთვის საჭირო ღონისძიებების შეთავაზება.

ის პროგრამები რაც არის შეთავაზებული, არ მიუწვდებათ აქტიურად ხელი. ასევე, ხშირად ისმის დაპირებები, რომელიც შემდეგ არ სრულდება, თნდაც წიგნებთან დაკავშირებით. ეთნიკურად ქართველ ახალგაზრდებს სჭირდებათ ქართული წიგნები, ქართული ენის საკვირაო სკოლები, კულტურული ორგანიზაციები და ა.შ. იმისთვის, რომ არ დაკარგონ საქართველოს სიყვარული. და იმისთვის, რომ შემდგომშიც შეინარჩუნონ საქართველოსთან ურთიერთობა, საჭიროა გაცვლითი და ინტეგრაციის პროგრამების შეთავაზება მათთვის.

ქართულ ეთნიკურ ჯგუფებს სურთ, რომ იყვნენ ქართველები, მათთვის ეს ძლიერ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობასთან ასოცირდება და შესაბამისად, ქართული მხარე უბრალოდ ვალდებულია გაითვალისწინოს იმ ადამიანების ფაქტორი, რომლებიც საუკუნეებია მხოლოდ საკუთარი სახსრებითა და მონდომებით ინარჩუნებენ ქართულ თვითმყოფადობას.

ქართული მხარისთვისაც ძალზედ მნიშვნელოვანია ჩვენს ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობა, რადგან ეს ფაქტორი საქართველოში მცხოვრებ ქართველებში გაზრდის ნაციონალიზმის, პატრიოტიზმისა და ქართული ისტორიით სიამაყის განცდას. რაც დღევანდელ სოციო-პოლიტიკურ და გეოგრაფიულ მდგომარეობაში ნამდვილად საჭიროა.

## დასკვნა

სანამ ამ ნაშრომზე მუშაობას დავიწყებდი, არსებული რეალობა უფრო მრავალფეროვნად გამოიყურებოდა, სახელმწიფო პროგრამების თვალსაზრისით. მედიაში ხშირად ჟღერდება აღნიშნულ ჯგუფებზე ინფორმაციები. საქართველო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებიც ხშირად სუბრობენ პრობლემებზე და პრობლემის გადაჭრის გზებზე.

თავდაპირველად მეგონა, რომ ჩემი ნაშრომი უფრო მრავალფეროვანი იქნებოდა სახელმწიფო პროგრამების განხილვის თვალსაზრისით, თუმცა ესე არ აღმოჩნდა. ქართული ეთნიკური ჯგუფების ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით, აღმოჩნდა, რომ ძალიან ცოტა პროგრამა არსებობს და რაც არსებობს, არ აქვთ სწორი კლასიფიკაცია მიცემული. ეს ართულებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის პროცესს და საგრძნობლად ზრდის ლოდინის დროს.

ასევე, საჯარო მოხელეები არ გამოირჩეოდნენ აღნიშნულზე საუბრის ენთუზიაზმით. რადგან, არ არის საერთო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებული, რის მიხედვითაც შეეძლებათ ისაუბრონ, გამოთქვან მოსაზრებები და სამომავლო მიზნებიც დასახონ.

თეორიულმა და ლიტერატურულმა მიმოხილვამ უფრო მეტად დამარწმუნა ეთნიკური თვითმყოფადობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე. კვლევამ აჩვენა, რომ ის ეთნიკური ჯგუფები, რომლებზეც ნაშრომშია საუბარი, საკუთარი შეხედულებებით არიან ქართველები. მათთვის მნიშვნელოვანია საქართველოსთან ურთიერთობა, ტრადიციების შენარჩუნება და რაც ყველაზე მთავარია, სჭირდებათ ენისა და იდენტობის თავისუფლება. სახელმწიფომ მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინოს ქართული ეთნიკური ჯგუფების მიმართ, აწარმოოს დიპლომატიური მოლაპარაკებები თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, იმისთვის, რომ ეთნიკურად ქართველებმა შეძლონ მეტად გამოხატონ საკუთარი ქართული თვითმყოფადობა და შეძლონ შენარჩუნება.

ეს ეთნიკური ჯგუფები ნამდვილად საქართველოს საგანძურია, როგორ ნაციონალიზმის გაზრდის კუთხით, ასევე დიპლომატიური თვალსაზრისითაც. ჩვენებურები, ლაზები,

ინგილოები და ქართველი ფერეიდნელები ძალიან ცოტას ითხოვენ, მხოლოდ იმას, რომ შეძლონ ქართული ენის შენარჩუნება და იგრძნონ, რომ ისინი საქართველოს მნიშვნელოვანი ისტორიის და კულტურის ნაწილი არიან.

ქართულმა მხარემ უფრო მეტი ყურადღება და ფინანსური რესურსი უნდა გამოახოს იმისთვის, რომ დაფასდეს უცხოეთში იძულებით გადასახლებული ქართველების მონდომება, წყურვილი ქართველად ყოფნის და შეიქმნას უფრო ძლიერი დიასპორის ინსტიტუტი.

## ბიბლიოგრაფია

- ანდრიაძე, გ. (2012). *უცნობი ისტორიული საქართველო ქრისტიანული ლაზეთი*. თბილისი: პალიტრა L.
- არველაძე, ნ. (1990). ფერეიდანნი თუ ფერეიდნელი ? *თბილისი*, 4-5.
- გამხარაშვილი, გ. (1960). *საინგილო*. თბილისი.
- განათლების სამინისტრო. (2017). Retrieved from [distancelearning.mes.gov.ge](http://www.distancelearning.mes.gov.ge):  
<http://www.distancelearning.mes.gov.ge/ge>
- დიასპორის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატი. (n.d.). Retrieved from [diaspora.gov.ge](https://diaspora.gov.ge): <https://diaspora.gov.ge/?p=4091>
- თავისუფალი უნივერსიტეტი. (n.d.). <http://freeuni.edu.ge>. Retrieved from თავისუფალი უნივერსიტეტი: <http://freeuni.edu.ge/ge/node/659>
- კაპანაძე, მ. (2017). ირანი - რეგიონში მშვიდობისათვის. *ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განწყობა* (p. 28). თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
- კობერიძე, ნ. (2010). ორასწლიანი დუმბილის შემდეგ. *პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი "აღმაშენებელი"* (p. 122). თბილისი: თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი.
- კომახია, მ. (n.d.). *აზერბაიჯანელები*. Retrieved from [NPLG.gov.ge](http://www.nplg.gov.ge):  
<http://www.nplg.gov.ge>
- კომახია, მ. (n.d.). *საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა*. Retrieved from [NPLg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge): <http://www.nplg.gov.ge>
- კრავეიშვილი, გ. (2018). თურქეთის ლაზები და ეროვნული აღქმის პრობლემა. *ისტორიანი*, 39.
- ონიკაშვილი, ვ. (2004). *ფერეიდანნი*. თბილისი.
- ონიკაშვილი, ვ. (2004). ფერეიდანნი. (p. 14). თბილისი: შ.პ.ს "წყალი მარგებელი".
- რეზონანსი. (2007). წიგნებისთვის ნაცემი ინგილოები ისევ წიგნებს იხვეწებიან. *რეზონანსი*, 1-4.

- სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევითი ცენტრი. (2018). *ტაო-კლარჯეთი*. თბილისი: არტანუჯი.
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. (2019). *2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია*. Retrieved from mfa.gov.ge:  
<http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>
- წერეთელი, გ. (2014). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. (p. 348). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ჯაფარიძე, ა. (1998). *ქართველთა გალეკება*. თბილისი: საქ. საპატრიარქოს მანგლის-წავკისის ეპარქია.
- Barth, F. (1969). *Ethnic groups and boundaries. The social organization of culture difference*. Oslo: Universitetsforlaget.
- Butler, J. (2004). *Undoing Gender*. New York: Routledge.
- Eller, J. D. (2009). *Cultural Anthropology Global forces Local Lives*. New York: Routledge.
- Fishman, J. (1980). *Social Theory and Ethnography*. Santa Barbara: ABC-Clio.
- Linger, D. T. (2007). *Identity*. Blackwel Publishing LTD.
- Wetherell, M. (2009). *Identity in the XXI century: New trends in changing time*. New York:: Pallgrave Mcmillan.
- Стефаненко, Т. Г. (2009). *Этнопсихология. Аспект Пресс*.

დანართი 2: სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MA candidate: Cleopatra Qarumashvili

State Programmes for the maintenance of ethnic originality of young Laz, Fereydnian Georgians, Chveneburebi (Ethnical Georgians living in Turkey) and Ingilis (Ethnical Georgians living in Azerbaijan).

MA program of Public Administration and Public Policy

The MA Thesis is prepared to obtain Master's degree in Arts of Public Policy and Administration

Supervisor: Nana Macharashvili,  
Supervisor of MA program of Public Administration and Public Policy,  
Associate professor

Tbilisi, 2019

